

# სი ა ნ ბ ი

თბილისის  
ზოგადი განათლების  
სამსახური

№ 9

თბილისი. გამომცემლობა „კომუნისტი“.

1941 წ.

ფანი 1 მან.



J. N. G.

## მთავარია ანბარი

- აი, ეს გემი, სერ, დაჯდა ერთი მილიონი სტერლინგი.
- საინტერესოა, რა დაუჯდება მოწინააღმდეგეს მაგის ჩაძირვა?

ნახ. ს. ნადარეშივილისა



### ს ა ყ ვ ე რ უ რ ი

ნახ. ღონისა

კოლუმბი — შენი ბრალია ყველაფერი, შენ რომ არ აღმოგჩინა ეს ამერიკა, ომი ამდენხანს არ გაგრძელდებოდა...  
ამერიკო ვესპუჩი — ორივემ უნდა გავინაწილოთ ეს დანაშაული.

### „ღომეი ცუსინის“ იხვაბი

„ღომეი ცუსინის“ სააგენტომ გამოაქვეყნა ვიშიდან „იუნაიტედ პრესის“ კორესპონდენტის მიერ მიწოდებული ცილისწამებლური ცნობა საბჭოთა კავშირის დასავლეთის საზღვრებზე წითელი არმიის დიდი ნაწილების განლაგების შესახებ, რასაც საკდესი უარყოფს, როგორც ბოროტ კორს.“ გაზეთში

როცა იცვლება ტაროსი  
ვეროლა-ამერიკისა, —  
თუ სოქვან: უკუ დის წყალიო —  
გამგონო, ეს ნუ გიკვირსა, —  
ან თუ „ღომეი ცუსინთან“  
მზე იჯანდრადდეს ნაოქებს,  
ეს ქცევა ახირებული,  
მკითხველო, ნუ გაგაოცებს.  
ან ქალაქ ვიშის მთვარეს ოუ  
ზედ გამოესხას კიტრები,  
მნახველო, ძალიანა გთხოვ,  
ამაზეც ნუ განცვიფრდები.  
მაგრამ თუ უცბად გაიგო,  
რომ ამ სამივე ალაგას,  
არ იშოვება მახათი,  
არც სოფლად, აღარც ქალაქად.  
მაშინ კი ეგებ გაჭკვირდე,  
და კითხვა დასვა მწვავეთა:  
— „იქაურ უსაქმურებმა  
რითღა გაირთონ თავია?  
ცოდვთა ყველა ტენ ბლაგვი,  
ვინც უმხატოდ შეთენილა,  
რადგან ის საჩხირკედლოდ  
შექმნილა და გაჩენილა“.  
მაგრამ ნუ სწუხარ, გეთაყვა,

საქმე ნურც ასე გგონია, —  
იმ უმახათო უსაქმურთ  
სხვა ხეობი მოუგონიათ:  
იხვები! — აი რაშია  
გართობის საშუალება,  
სარფა და ლუკმა დიდი აქვთ,  
და არც იოტი წვალებდა...  
მაგრამ რომ უფრო ნათელი  
იყოს, რაც მინდა აგიხსნათ, —  
სჯობს, რომ ამ საიდუმლოსი  
ზანდუკი ფართოდ გაგისხნათ:  
„ჰავასის“ ფირმამ, ვიშიდან  
ნიუ-იორკში აფრინა  
პატარა იხვის ქუჩი და  
თან ეს ფირმანი დასძინა:  
— სერ, ძალიან გთხოვთ, რომ გაწვრთნათ  
და როცა ვადა გახლდებით,  
ტოკიოს გადააფრინოთ —  
იქ ნამდვილ იხვად გახდება!“  
„იუნაიტედს“ იამა,  
იმ იხვის ქუჩის მიღება,  
გაწვრთნა, გაზარდა, გათქვირა,  
სახელიც უნათლიღება.  
და შემდეგ „ღომეი ცუსინს“  
გადაუფრინა უსტარით:

„შეიტყვე ჩემო „ღომეი“,  
შენა ნარ ამის მუშტარი;  
იხვია, თანაც რა იხვი,  
ნაკვები, გასუქებული,  
ჭორებს სულ ნოტებით მღერის,  
მგალობელია ქებული...  
ახლა „ღომეის“ იამა,  
ნისკარტი მოუვარაყა,  
შემდეგ ადგა და ის იხვი,  
გაუშვა მოძრავ არაკად:  
— ჰარიქა, ნახეთ საზღვრები  
საბჭოთა კავშირისათვის, —  
ცისა და მიწის დანგრევას  
აღბად აპირებს ისო...  
მას რომ მშვიდობა ეწოდოს,  
განა წითელ ჯარს გაწვრთნიდა?  
ან და სამშობლოს სიყვარულს  
მის ხალხი გულში გაზრდიდა?  
ასე გასინჯეთ, ზღვაშიც კი  
გემები აქვს და ნავები,  
მიწაზე ზარბაზნები აქვს,  
ცაში კი — თვითმფრინავები.  
ჯარს ბინები აქვს და იმათ  
ხანდისხან იცვლის კიდევცა,  
ზღვებში წყალი აქვს, ზღვის ზევით

მიწა, მას ზევით კიდევ ცა...  
ჰარიქა, ფრთხილად იყავით,  
ფრთხილად, ფრთხილად და ფრთხილად!“  
ყიყინებს იხვი, კვატია,  
ერთობ ზმა-ჩახლოვილადა...  
ამ იხვურ განგაშის გამო  
ანდაზას ვიტყვი ყისმათად:  
„მელას რაც გულში ნატვრად აქვს  
ის ელანდება სიზმრადაც“.  
ჩვენ, რა თქმა უნდა, სამშობლოს  
მუცამ გმირულად დავიცავთ,  
ვინც განიზრახავს ჩვენს მტრობას,  
ბღღვირს ვადენთ, ამას არც ვფიცავთ, —  
და ჯეროვანად მზად ყოფნას,  
რასაც სამშობლო გვაგალებს, —  
არც დავიფიცებთ, არც ვკითხავთ  
იხვების გზაზე მევალებს...  
მაგრამ ამ კორიკანებმა  
თუ შეჭმენეს მოდის ზლაპარი, —  
აღბათ გულში თუ უღვივით  
ანგარიში რამ მზაკვარი...  
ეს მათი ბოღვა გვაგონებს  
მათ ნაცად გზების ტკეპნასა:  
ბრიყვს საქმე, როცა ელვება,  
მახათს დაუწყებს ძებნასა!..

ზარსაღანი



მაკრინეს ვაჟი, ნოდარი წელს ფრიადებზე ამთავრებს საშუალო სკოლას.

ნოდარი სიამით ოცნებობს მომავალ სასწავლო წლის პირველი ზარის შესახებ, რომელიც მის ყურთან უმაღლესი სკოლის ვრცელი დერეფნის კედელზე აწკარუნებდა.

ნოდარის დედას მაკრინეს კი სულ სხვაგვარად აქვს წარმოდგენილი მისი სასიქადულო შვილის ბრწყინვალე მომავალი.

— გზის ინჟინერი გინდა გამოვიდეს? — ეკითხება მას მეზობელი პელო.

— შენი ჭირიმე, ინჟინერი სულ რაღაცას ხაზავს, მაგაში რა ხეირია?

— მშენებელი?

დამიდგეს თვალი, კალატოზობა რათ უნდა? სულ კირში ექნება ხელები.

— ექიმი?

— არც ეგ მომწონს.

— მასწავლებელი?

— არა, ზარმაცი მოწაფეების მშობლები გადაემტერებიან: ჩემ შვილს ცუდ ნიშნებს უწერსო.

— მფრინავი?

— უი, ჭა ძლივს გაგზარდვ შვილი და ცაში ავაფრინო და მე კი დაბლიდან ვუყურო?

— აგრონომ, მემინდვრე, მეტყევე.

— არა, გენაცვალე ტყეში და მინდორში სიარულს სწავლა რათ უნდა?

— მეზღვაური?

— არა, არა, შენი ჭირიმე.

— მაინც ვერ გამიგია, რა პროფესიას ირჩევ შენი შვილისათვის.

— აბა რა ვიცი გენაცვალე, შენ ისეთები ჩამომითვალე, რასაც ყველა ეტანება, მაგრამ მე კი ჩემს შვილს უბრალო ხელობას ვურჩევდი.

— გადირიე ქალო? რატომ უბრალოს?

— იმიტომ რომა, ზოგი უბრალო ხელობიდან უფრო მეტი სარფა და გამორჩენა აქვთ ზოგზოგებსა.

— მელორეთ გინდა გაუშვა?

— ეგრე უდიერად რათ იხსენებთ გენაცვალე, მელორეობასა? შენ კი გაწყენს ღორი რომ გყავდეს? შარშან, ჩვენებიანთ მიხამა ერთი იორქშირის გოჭი გაზარდა, წლის თავზე 12 ფუთი ხორცი მიიღო, კიდევ თუ აცლი, ძროხის წონისა გახდება, 18 ფუთამდე მიაღწევს. ოთხი რომ გაზარდო იმისთანა, დღეში ოთხი კილო ხორცი გექნება, ცუდია? მაგრამ მელორეობა ჩვენთვის დამხმარე უნდა იყოს, ხელობა კი სხვა უნდა ჰქონდეს.

— მაინც რა ხელობა? წყლის გამყიდველობა?

— არ დავიწუნებდი. წყლის გამყიდველს შენ ნუ ეხუმრები. გადააწვენს განზე ჭიქას სეროფის დასხმის დროს და ვთქვათ ნორმით გათვალისწინებულ 30 გრამის მაგივრათ 13 გრამ სიროფს მოგაჩეჩებს. დანარჩენი ქაფია. მე ვიცნობ ერთ ასეთ მოქალაქეს. ამას წინათა ვილაკ კერძო პირისაგან მსუბუქი ავტო იყიდა — ათას ექვსასი თუმანი ჩაუკენჭა.

— მაშ მაგ ხელობას არც ერთი ხელობა არა სჯობნებია.

— როგორ არა სჯობია? ავილოთ, მაგალითად, პურის გამყიდველი, თითო კილოში რომ 50 გრამი დაეკლოს, დღეში ორი ათას კილოს მაინც გაჰყიდის, ესეც შენი ოცი კილო — ქაფი. მაგრამ ზოგი

არც ამასა ჯერდება. მე ვიცნობ ერთ პურის გამყიდველს, ამას წინათ უნივერსიტეტში მეორე პიანინო იყიდა: „ცოლი ფენმძიმეთა მყავს, პირველი შვილი ქალია, მეორეც რომ კიდევ ქალი დაიბადოს, საკუთარი დასაკრავი დახედეს, გაყოფაზე დებს ჩხუბი აღარ მოუვათო“.

— მაშ მეპურეობას არაფერი ჯობნებია.

— რატომაც არა — ქა, მე ვიცნობ ერთ ყასაბსა...

— იმას მეც ვიცნობ, ორსართულიანი სახლი აიშენა.

— ჰოდა შენ პირს შექარი, გცოდნია.

— ყასაბაც კარგი ხელობაა.

კარგი ხელობაა, მაგრამ მაგას ლუდის გამყიდველობა სჯობია. ლუდისთანა მადლიანი და ბუნებრივი ქაფი არაფერმა არ იცის.

— მაგაში მართალი ხარ. მე ვიცნობ ერთ ლუდის გამყიდველს, ქაფის ფულით ხუთსართულიანი სახლი ააშენა.

— მერე არ იკითხეს რა სახსრით ააშენა?

— არა გენაცვალე, ჩვენი რაიონის პროკურორს, მაგეთი რამე აზრათაც არ მოსვლია. ერთმა ბულატერმა, რომელმაც „საქაფავ“ ადგილზე სულ რაღაც ოთხი თვე იმსახურა, ორი სახლი შეიძინა, ერთი ქალაქის ცენტრში და ერთიც აგარაკზე. ყველამ ვიცით, რომ არც 100.000 მანათიანი პრემია მიუღია განსაკუთრებული დამსახურებისათვის, არც ოქროს საბადოები აღმოუჩენია, არც ციდან ჩამოუგდიათ მისთვის დალუქულ კონვერტით „უზენაეს ძალას“. ერთი სიტყვით, ნამდვილი ქაფია. მაგრამ ხმასაც არავინა სცემს.

— მეც ვიცი მაგისთანა შემთხვევები. ამას წინად თელავში ლუდის გამყიდველმა, რომლის საეაქრო წერტი თითქმის თელავის რაიონის პროკურორის კაბინეტის ქვედა სართულზეა მოთავსებული, მომხმარებელს ნახევარი ჭიქა ლუდი მიაწოდა, ფული დახლში გადაუძახა და არხეინად „გავასო“ ჭიქები დანარჩენი მომხმარებლებისათვის.

— მეორე პროკურორის მაინც არ ეშინია?

— არ შეეშინდა. საბუთიც ქონდა გულის გამაგრების: ამას წინად თელავის სასტუმროსთან არსებულ საქვაჭრობის რესტორანის მუშაკები ადგილობრივ გაზეთშიც კი გასწერეს ქურდობისათვის, ესე იგი მომხმარებელზე კერძში ნორმით გათვალისწინებულ 200 გრამი ხორცის ნაცვლად 70 გრამის მიტანისათვის, მაგრამ თელავის პროკურორს ამ საქმისათვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია.

მაკრინეს და პელოს საუბარში შემთხვევით წამოსწრებული ნოდარიც ჩაერია. მან აუხსნა მოსაუბრეთ, როგორ სჯის კანონი იმ ქურდობაცაცებს, რომლებიც მომხმარებლებს და სახელმწიფოს ატყუებენ. მოუყვანა რამდენიმე მაგალითი მათი გამოძევებისა და დასჯის შესახებ. მიუთითა მაკრინეს, რომ მის მიერ მოყვანილი ფაქტები სწორია, მაგრამ მათი გაზოგადება არ არის სწორი. დაარწმუნა იგი რომ უნიადაგოა მისგან ჩამოთვლილი ადამიანთა კეთილდღეობა და საბჭოთა სინამდვილეში ასეთი ადამიანების „ბრწყინვალე მომავალი“ პროკურორის კამერით თავდება.

— ჩვენ არაფერი გვაქვს ასეთი პროფესიის ადამიანების იმ ნაწილის წინააღმდეგ, რომლებიც პატიოსან საბჭოთა მოქალაქეების მსგავსად მუშაობენ, მხოლოდ და მხოლოდ პატიოსან და თავგამოდებული შრომის საფუძველზე იქმნება ჩვენს ქვეყანაში ადამიანის ბრწყინვალე მომავალი. — დაამთავრა თავისი აზრი ნოდარმა.

მაკრინე მიხვდა თავის შეცდომას. ამიერიდან დედის და შვილის შორის ჩატეხილი ხიდი გამრთელდა: ახლა დედა და შვილი ერთი-დამივე წარმოდგენის არიან საბჭოთა ადამიანის ბრწყინვალე მომავლის შესახებ.

## იზარაღა

ნახ. ან. კანდელაკისა



**პარკმანხარი:** მაშ ყველას გაკრეჭა მანეთი უნდა ღირდეს?

### „პსნიმისტი“

- არაფრად არ ღირს სიცოცხლე...
- რატომ, კაცო!
- გემოს ვერაფერს ჩაატან და იმიტომ.
- კერძოდ?
- კატლეტი რომ არ ჭამო ისა სჯობია, მწვადს გემო არა აქვს, ბულამა არ იჭმება და რაღა დარჩა... ლაპარაკია რესტორან „სიცოცხლეში“.

### „კუნთულური“ კაცი

ხიდზე აუარებელი ნაგავი ყრია. ქარი უბერავს და მგზავრებს ცხვირპირში აყრის დაგროვილ ნაგავიდან ატაცებულ მტვერს. მეეზოვე პირში ჩიბუნგარჭობილი დადის ხიდზე. მტვერისგან შეწუხებული ვიღაც მოქალაქე გულმოსული ეკითხება მეეზოვეს: — რას გავს ეს, ვერ გადაყარე ნაგავი? მეეზოვე ასპროცენტიანი სიმშვიდით უპასუხებს: — ვერა ძმაო, კანონს ვერ დავარღვევ. — და ფართოდ ილიმება. — რა კანონს? — გაოცდება გამელელი. მეეზოვე დინჯად გაიშვერს მარჯვენა ხელის სალოკ თითს ხიდის თავზე გაკრულ წარწერისაკენ, რომელიც ჰღალადებს: „ხიდიდან ნაგვის გადაყრა აკრძალულია“.

### უთანაბრო წყვილი

— დეიდა მე ახლა ფეხბურთზე უნდა წავიდე. — უთხრა სოფლიდან ახალ-ჩამოსულ დეიდას ზურაბმა. მოიცა, გენაცვალე, ერთი საათია რაც ჩამოგსულვარ, დღესვე უნდა წავიდე, ცოტახანს მაინც გიყურო. — ვერა დეიდა, ვერ დავრჩები, დღეს ძალიან საინტერესო თამაშია, ჩვენი ბიჭები ტრაქტორს ეჯიბრებიან. — ვინ თქვენი ბიჭები, ქა? — კითხულობს გაკვირვებული ქალი. — ჩვენი ფეხბურთელები. — განა რამდენი არიან ი თქვენი ფეხბურთელები? — თერთმეტი, დეიდა... — გაგიჟებულან, გეთაყვა: თერთმეტი კაცი ტრაქტორთან რას გახდება, ხომ სუყველა დაბდენა.

### წყლიანი ასორტიმენტი

— ძალიან მოსაწყენია შენი კომედია, ძნელად რომ კაცმა ბოლომდე გაუძლოს, — ეუბნება ახალგაზრდა დრამატურგს მეგობარი. — რას ამბობ, — უკვირს ავტორს, — გუშინწინ კრიტიკოსი კორჩხიბელი იყო აქ და ბოლომდე უყურა ჩემს პიესას.

— კორჩხიბელი? — ილიმება დრამატურგის მეგობარი, — ის ხომ რეკორდების კაცია, მან ოცდაოთხ დღეს ისე გაძლო, რომ წყალი არ დალია და შენს პიესას ვერ გაუძლებდა?

— ბუნებრივია, — ჩაერია ლაპარაკში მაყურებელი, — ოცდაოთხ დღეს თუ წყალი არ დაუღვია, ამ პიესაზე ბოლომდე დარჩებოდა. მოწყურებული ყოფილა.

### გამოცანები

1. ერთი პატარა მანანა, ხან გაიცინებს, ხან — არა.
2. ერთი ქიმიკოსია წყლიდან ქონს ლებულობს.
3. რვაათასად ძლივს გასუქდა, რვა კაპიკმა გაახდუნა.

### ახსნა

1. ავტოტაქსი.
2. ლუდის გამყიდველი.
3. დაპატიმრებული, ხურდის მქაფველი გამყიდველი.

### ახალი ანდაზები

— ცუდმა ფინანსპექტორმა პორთფელი შეიძინა და გეგმა შესრულებული ეგონაო. — ბატკანს მგლისა ეშინიან, ზოგ ავტორს — ზოგი თანავტორრეჟისორისაო. — თელასის ზოგიერთი თანამშრომელი მთვარეს პატივს არ სცემსო. — ცუდი მხმარებლის ხელში ყველანაირი კალმის-წვერი ერთნაირ სისულელეს დაწერსო. — ცუდი პატრონის მყოლ ტრაქტორს — მოზვერი მოერიაო. — კარგი კრიტიკოსი ცუდი მწერლის მეგობარი არ იქნებაო. — ქათამმა წყალი დალია და პატრონს თვალი ჩაუკრა: „შენ, ამის დაღვევაში, ღვინის საწყობებს შვიდ მანეთს უხდიო“.

80ა

## სიყვავს კი აშინებს

ნახ. მ. ლებეშვიცისა



— რას უყურებთ ადგილი თავისუფალია, ჯდომა არ გირჩევნიათ? — თუ ძმა ხარ, თავი დამანებე, ექვს თვეს უკვე ვიჯექი ხულიგნობისათვის.



ქართული  
ინტელიგენცია

მობეუღლში გზაზე  
ერთხელ კულა მელა,  
სისხამ გარიჟრაჟზე  
მიდიოდა ნელა.

მთის ბილიკზე კულას  
მაიმუნი შეხვდა  
აიბუძგა მელა,  
აიყალყა შეხტა,

შიში იგრძნო, თუმცა  
არ ყოფილან მტრები,  
მაიმუნმაც ღიმიით,  
არა გაჯავრებით,

აიბუძგა თმები  
და მიბაძა მელას  
(მაიმუნი, ვიცი  
კარგად ბაძავს ყველას)

მიბაძა და უთხრა:  
ნეტავ ვინ გეგონე?  
ერთ შეკითხვას მოგცემ  
და პასუხი მომე.

შენ ხომ იცნობ კარგად  
ჩვენს ჭალებს და მთებსა,  
შენ ხომ იცნობ ქვეყნის  
ყველა ცხოველებსა?

თუ არსებობს სადმე  
ცხოველების ჯიში,  
რომ მიბაძვა მანჭვით  
ვერ შევიძლო მისი?

— არ არსებობს.— უთხრა  
საპასუხოდ მელამ:—  
ოსტატი ხარ მანჭვის  
კარგად იცის ყველამ.

მაგრამ ერთს კი გეტყვი  
კარგად დაიხსომე,  
შენ სუყველას ბაძავ  
არ კითხულობ რომელს.

მაგრამ ცხოველთ შორის  
ერთსაც იმისთანას  
ვერ მონახავ თვით შენ  
რომ მოგბაძოს მანაც.

რომ შენდამი ბაძვა,  
მართალს ვამბობ აქ მე,  
არ მიაჩნდეს თავის  
სამარცხენო საქმედ

\* \* \*

გავისხენე მისთვის  
ეს იგავი ძველი,  
რომ ბლომად გვყავს დღესაც  
სხვების ბრმად მბაძველი

მაგრამ ვინც კი იცნობს  
თვით მბაძავის ქცევას,  
თუ ახლოა მასთან,—  
იკადრებს გაქცევას.



— ფიზკულტურა, სპორტი, ვარჯიში, — აი ამხანაგებო, მარტივი გზა ჯანსაღობისა და სხეულის ანატომიური პროპორციულობისაკენ!

## ი ს რ ე ბ ი

### ზოგიერთ კრიტიკოსს

ზოგიერთი კრიტიკოსი  
მწერალს ფეხქვეშ გაეგება,  
მაგრამ რადგან პოეზია  
მას ნაკლებად გაეგება,

ლანძღვაზედაც მიიმედ უჩანს  
საწყალ ავტორს მისი ქება—  
ბრიყვის ხოტბებს ბევრად სჯობს  
გონიერული განქიქება.

### ზოგიერთ ახადგაზრდა მწერლებს

ზოგი ნორჩი ავტორიც კი  
არის „მეტად გამოცდილი“  
თავის ქებისათვის ენა  
აქვს ხმალივით ამოწვდილი.

ცდილობს კარგად დაიუფლოს  
ძველი „აზლაკატის“ სტილი  
მათ რომ ვუცქერ მაგონდება:  
„თუ ყრმა ნახო ცუდად ზრდილი...“

(სცენარის სინამდვილიდან)

ფეიქრობით საინტერესო მხატვრულ დოკუმენტურ ფილმს მივიღებთ, თუ დავდგამთ კინოსურათს ქვემოდწარმოდგენილი სცენარის მიხედვით:

...სიჩუმე, დარბაზში ბნელა. უცებ ახმაურდება კინობარატი. ეკრანზე აღიბეჭდება წარწერები: — „ახალი დოკუმენტური ფილმი 39 მიწერმოწერად. სცენარი კინოფიკაციის ქუთაისის განყოფილების გამგის აშხ. ნ. ლევიძისა. რეჟისორი კინოფიკაციის სამმართველოს უფროსი აშხ. თოდაძე. მთავარ როლებში ნ. ლევიძე და თოდაძე, რეჟისორის თანამშემწე ინჟინერი სალიპოვი. 16 ფოსტალიონი. შიკრიკები, მემანქანე ქალები. საქმეთამმართველები. მოტყუებული მათყუებლები—იგივე ქვემო სცენათის სოფ. ლენტეხის მცხოვრებნი.“

მოქმედება იწყება ლენტეხში, გადმოდის ქუთაისში, ვითარდება თბილისში.

...ლენტეხში 5 წლის წინ სსსიან კინო-თეატრს. გახურებულ სიტყვას ამბობს კინოფიკაციის წარმომადგენელი.

...მოგილოცავთ, მოგილოცავთ...

— ვაჟა, ვაჟა!

— იფ, იფ!

...ავტომანქანა, რომელიც მიაქროლებს ძვირფას წარმომადგენელს. გადის თვე, ორი თვე, სამი თვე...

კინოთეატრში სურათებს არ უჩვენებენ.

ქვემოსვანეთის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გზავნის მიწერილობას ქუთაისის კინობაზის მისამართით:

„კინოთეატრის აგება კარგი საქმეა. სასურველია, სხვათაშორის, კინოსურათების ჩვენებაც...“

ქუთაისი. კინობაზის დირექტორის კაბინეტი. გამგე აშხ. ნ. ლევიძე ნერვიულად დადის წინ და უკან. ამბობს:

...ქვეყანა ვამოიცვალა. ვაგონილა ასეთი უმადურობა? ცოტაა მათთვის, რომ კინოთეატრი გახსნეს. ახლა კინოსურათების ჩვენებაც მოინდომეს!

შემოდის საქმეთა მმართველი.

**გამგე**—ხომ ხედავთ როგორ განებივრდა ხალხი! მეტი გზა არ არის, მისწერეთ ზომები მიღებულიათქო!

**საქმ. მმართველი**—მე მომწონს თქვენი ცენტრალიზებული მიდგომა. და მიფრინავს მიწერილობა.

ყოჩაღად იყავით. სურათებს და კინოაღმადგარებს მალე მიიღებთ. ზომები მიღებულია.

გადიან ღლეები, კვირეები, თვეები.

ქუთაისი. კინობაზის გამგე კვლავ ღებულობს მოწერილობას ლენტეხიდან.

შემოდის საქმეთა მმართველი ხელში პაკეტით.

**გამგე**—კონვერტზე ვატყობ, კინომომსახურების შესახებ იქნება მოწერილობა... ვიცი არ მოგვეშვებია. მისწერეთ ისევე, ზომები მიღებულიათქო.

**საქმ. მმართველი**—არის!

იმართება გახურებული მიწერ-მოწერა. ქვემო-სვანეთის რაისაბჭოს აღმასკომს თანდათან მღელვარება ეტყობა. სამაგიეროდ აბსოლუტური ინდიფერენტობით უპასუხებს ქუთაისის კინობაზა.

აშხ. ნ. ლევიძე მაგრად დგას. მას ვერაფერს აკლებს ქალაქებით „ბომბარდირება“. ამიტომ ქვემოსვანეთიდან მიმართვები დაუშინეს თბილისში კინოფიკაციის სამმართველოს.

პირველი მიწერილობის „ყუმბარა“ სკდება აღნიშნული სამმართველოს უფროსის აშხ. თოდაძის კაბინეტში. უკანასკნელი დაუყოვნებლივ საბრძოლო მზადყოფნის ქვეშ აყენებს მთელს აპარატს და აჩაღებს თავბრუსმომხვევ მიწერ-მოწერას.

1940 წელი. 16 სექტემბერი. აშხ. თოდაძე აჭრელებს ფიცხელ ბრძანებას ქუთაისის განყოფილებისადმი.

...სრულიად დაუშვებლად მიგვაჩნია, რა ქვემო-სვანეთის კინომომსახურების გარეშე დატოვება და რადგან, ასე სვტკვათ. ვინაიდან და აქ შემდეგ — „კატეგორიული წინადადება გეძლევათ ჩაიტანოთ მანქანა და აგრევატი და მოაგვაროთ იქ კინომომსახურების საკითხი...“

ქუთაისი. კინობაზა. გამგე იცინის

—ვაჟა, ხა, ხა, ხა!... ხი, ხი, ხი!

შემოდის საქმეთა მმართველი.

**გამგე**—ხედავთ? ახლა თბილისიდან დავვიშინეს! ახალეთ მიწერილობა ორი მისამართით

**საქმ. მმართველი**—არის!

მიწერილობა მიფრინავს თბილისისა და ქვემო-სვანეთის მიმართულებით.

...დარდი ნუ გავვთ ზომები მიღებულია!

გადიან ღლეები, კვირეები.

კინოფიკაციის სამმართველოს შენობას კვლავ მოხვდა ქვემო-სვანეთიდან გამოტყორცნილი „ბომბი“.

თოდაძის კაბინეტი პანიკამ მოიცვა.

— რა ამბავია! ხომ არ ვიღუპებით—მიწისძვრა ხომ არაა!

— არაფერია. ეს მოწერილობაა ქვემოსვანეთიდან.

— მერე მასე ვერ მითხარით? გული გადამიტრიალდა. მისწერეთ ქუთაისის კინობაზას.

და მიწერეს:

...რადგან და შეიძლება თამამად ითქვას, ვინაიდან... „კატეგორიული წინადადება გეძლევათ დაუყოვნებლივ მოაწესრიგოთ ლენტეხის მომსახურება კინომომსახურებით და ბოლო მოუღოთ თვითდაზღვევის მიზნებიდან გამომდინარე თქვენს უსაფუძვლო მიმოსწერას. გაფრთხილებთ, რომ თუ დაუყოვნებლივ არ იქნა მოწესრიგებული ეს საქმე, მიღებული იქნება სასტიკი ზომები...“

ამასთან ერთად ღებუმა მიფრინავს ქვემო-სვანეთის რაისაბჭოს სახელზე:

—აწი ნურაფრის დარდი ნუ გექნებათ.— „ამ ღლეებში გექნებათ კინოაღმადგარი თავისი ელექტროსადგურით“.

გადიან ღლეები, კვირეები.

ქვემო-სვანეთის რაისაბჭოს აღმასკომი კიდევ სამჯერ გზავნის მიმართებას და ორჯერ ღებუმა.

ბოლოს ყველაფერი მიწყნარდა. ღუმელია მოიცვა გარემო.

ქუთაისი. კინობაზა. გამგე შეფექრიაწებულა.

შემოდის საქმეთა მმართველი.

**გამგე**—რაღაც საეჭვო ღუმელი დამყარდა... ერთბაშად ხომ არ გვიპირებენ თავდასხმას! ფრთხილად იყავით.

**საქმ. მმართველი**—სჩანს რაღაც ოინს გვიწყობენ. მოდი გაისეირნეთ ავტომანქანით ქვემო-სვანეთისაკენ.

ისტორიული ღლე — აშხ. ლევიძის ჩასვლა ლენტეხში მსუბუქი ავტოთი. იგი ათვალერებს უმოქმედოდ დარჩენილ კინოთეატრს. ბრუნდება ქუთაისში.

შემოდის საქმეთა მმართველი.

**გამგე**—მართალი ყოფილა რისაც გვწერდნენ. იცით, როგორ უნდა მოიქცეთ?

**საქმ. მმართველი**— არა.

**გამგე**—ახლავე მისწერეთ, რომ მიღებულია კატეგორიული ზომები! და კვლავ ჩაღდება კიდევ უფრო გახურებული, მგზნებარე და სულის ამაფრთოვანებელი მიწერ-მოწერა.

საქმეში ჩაერევა საქ. კ. პ. (ბ) ქვემო-სვანეთის რაიკომი, რომელიც 1941 წლის 16 თებერვალს გზავნის ღებუმა აშხ. თოდაძის სახელზე:

— „გთხოვთ შეამოწმოთ ადგილზე ლენტეხის სტაციონალური კინოაღმადგარი“.

თოდაძის კაბინეტი კვლავ აფორიაქდა.

— არიქა, ჩქარა პასუხი!

„ლენტეხი. რაიკომის მდივანს სილაგაქხს. კინოაღმადგარის შესამოწმებლად ვგზავნი ინჟინერს“.

მატარებელი. რბილ ვაგონში ინჟინერი სალიპოვი. საღვური ქუთაისი. სალიპოვი ტყობილობს, რომ ლენტეხამდე ჯერ რკინისგზა არ არის გაყვანილი.

— ავტობუსით შეგიძლიათ წასვლა.— ეუბნებიან.

— ავტობუსს ვერ დავანჯორევიანებ ტვინს.

— აერობლანით შეგიძლიათ გაფრინდეთ.

— გული მაქვს სუსტი.


და ერთი ღებუმა სალიპოვის სახელითაც მიიღო საქ. კ. პ. (ბ) ქვემო-სვანეთის რაიკომმა:

— ბოლიში. — „ქუთაისიდან ვერ მოვდივარ რკინისგზის გაყვანის მიზნით. სალიპოვი“.

უკანასკნელი მიწერილობა, თუ არ ვსცდებით, კინოფიკაციის სამმართველომ მიიღო ამა წლის მარტში, შემდეგ კვლავ ღუმელი მყარდება.

\* \* \*

შემოდსწერილი პერიოდების განმავლობაში ლენტეხის კინოთეატრში სურათებს არ უჩვენებდნენ. სამაგიეროდ კინოფიკაციის სამმართველოს და მისი ქუთაისის განყოფილების მუშაკები საკმაოდ ცხადად გვიჩვენებდნენ მშრომელთა მოთხოვნის მიხედვით ბიუროკრატიულ-უაღრულო დამოკიდებულების სურათს.



ლ. პ. ბერიას სახელობის აკ რკ. გზაზე ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი სამგზავრო მატარებლების დაგვიანება.

სალამო იყო... წყნარი და ნაზი მზე მთის მწვერვალებს ათოვდა სხივებს, ცელქი ნივი, ვით უსურვაზი— ექსოვებოდა ნაკადთა მიძივებს.

იღმა გოგონა ობლად ერთ ადგილს, მორცხვად გასცქერდა მხარეს შორეულს და ბროლის მკერდზე თმებს გადმოვარდნილს ეპოვა ბინა შვება მორეულს.

გასცქერდა შორს და მისი ფიქრები თითქოს სწყდებოდა ცქრიალა თვალებს, ნეტავ რას ფიქრობს, ნუ თუ მიგზვდები და საიღუმლოს გაუხსნი კარებს?

დალამდა კიდევ... მთების მწვერვალებს უკანასკნელად მზე ჩაეხვია, ოქროს ლურსმნები ცაზე ციალებს მთვარე მთის ნაკადს წრფელად ემთხვია.

კვლავ სდგას გოგონა... სდგას გარინდებით. უცდის და უცდის, მაგრამ ნეტავ ვის? ვუცქერ და მიკვირს, რომ დამშვიდებით სდგას ვაჟაკურად იტანს გასაჭირს!

უკვე საათმა თორმეტი დაჰკრა შეკრთა გოგონა, ჩაღუნა თავი, სთქვა: აღარ მოვა. იმედი ჩაქრა, მორთო ქვითინი გულმოსაკლავი.

იქნებ იფიქრეთ სასომინდლი სატრფოს ელოდა გულის დამწველსა?! არა, სამგზავროდ გამზადებული უცდიდა იგი მატარებელსა.

დავითა

### ჩვენი აბანო

(ამბროლაურისათვის)

მომხრე ვარ მყუდრო ცხოვრების და არა აურ-ზაურის, — მაგრამ ვერ ვაქებ აბანოს ჩვენი ამბროლაურის

თვითონ აბანო კარგია, მას ვერვინ დაემდურება, მხოლოდ უნდა ვთქვა სიმართლე არ ვარგა მომსახურება.

ხან მდულარე სჩქევს მილიდან, მთლად გაგფუფქავენ შხაპები, — ხან ისე ცივი წყალი სდის, გაგყინავს მოიკაკვები...

ამიტომ არის აბანოს შევეურებთ შიშით, კანკალით. ნიანგო, მის მესვეურებს იქნებ ეწვია ჩანგალით.

ქაქაძე



მწერალი — ხომ წაიკითხე ეს ფელეტონი, კლასიკოსებს რომ მადარებენ? ახლა რა-ღას იტყვი?  
მკითხველი — მე იმას ვიტყვი, რომ ამ ფელეტონის ავტორი ან კლასიკოსებს არ იცნობს, ან შენი წიგნი არ წაუკითხავს.

## მხიარული პროექტი

მარწუხი-ავტომატი

(ზოგიერთი მაყურებლის მოსარჯულებლად)

დიდი კვლევა-ძიების შემდეგ, როგორც იქნა მივაგენით იმ მიზეზს, რომლის წყალობით ზოგიერთი ჩვენი დრამატურგის პიესებს ფინალი არაფერად უვარგა. იმავე მიზეზით ავხსენით ჩვენ ის გარემოებაც, რომ ზოგი მსახიობი, რომელიც მთელი სპექტაკლის მანძილზე საუკეთესო თამაშით მაყურებელს აღაფრთოვანებს, უკანასკნელ აქტში უხალისოდ თამაშობს.

რა მიზეზია ეს მიზეზი?

ეს მიზეზი გახლავთ ზოგიერთ მაყურებელთა ინდიფერენტული დამოკიდებულება სპექტაკლის ფინალისადმი. როგორც კი მიხვდებიან, რომ ახლა ფარდა მალე უნდა დაიხუროსო, მიატოვებენ პარტერს, ლოჯებს, ქანდარას და გარბიან გარდერობისაკენ.

ამის შედეგად მოუსმენელი რჩება პიესის ბოლო, დაუკვრელი რჩება მრავალი ტაში, სცენაზე გამოსულ გულამოჩუყებულ რეჟისორს და დრამატურგს უხდებთ თავების ქნევით მადლობა გადაუხადონ მაყურებლებს, რომელთაგან მოსჩანს მხოლოდ ზურგი.

მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ვერავითარ სიამოვნებას ასეთი სიტუაცია ვერ იწვევს ხელოვნების მუშაკთა შორის და ამის გამო ფინალი ხშირად სუსტადაა წარმოდგენილი.

ჩვენ მოვიგონეთ საუცხოო საშუალება ზემოაღნიშნული უხერხულობის თავიდან ასაცილებლად.

გამოვიგონეთ მარწუხი-ავტომატი, რომელიც უნდა დაიდგას მაყურებელთა სკამების წინ, სპექტაკლის დამთავრებამდე ეს მარწუხი-ავტომატი, ვითომც აქ არაფერი იყო, გაჩერებულია თავისთვის და მაყურებელიც ვერ ამჩნევს მას.

მაგრამ აი, მთავრდება სპექტაკლი. თეატრის ადმინისტრატორი თავის კაბინეტში ხელს აჭერს მაგიდაზე დამაგრებულ ელექტროლილს, მარწუხები დაუყოვნებლივ მოდიან მოძრაობაში და მაყურებელთა ფეხებს მტკიცედ შემოესალტებიან. მაყურებლები ჩვეულების მიხედვით აპირებენ ზურგი შეაქციონ სცენას და პირი იბრუნონ გარდერობისაკენ, მაგრამ... ბოდიში, მარწუხები არ უშვებენ.

სამაგიეროდ მარწუხები არ უშლიან მაყურებელს ფეხზე წამოდგომას, ტაშის დაკვრას, „ვაშას“ ძახილს და ასე შემდეგ.

ასეთ მდგომარეობაში ადმინისტრატორს შეუძლია იყოლიოს მაყურებლები განუსაზღვრელი რაოდენობით. შემდეგ ისევ დააქერს თითს ელექტრო-ლილს და მარწუხები ანთავისუფლებს მაყურებელს.

ამ გამოგონებაზე მონაპოვია ჯერ არავის გამოუცხადებია. ამიტომ ყველას შეუძლია გამოიყენოს ზოგი მაყურებლის მოსარჯულებლად.


ნახ. ა. კანდელაკის



1) 10-11 საათამდე—არ ცალკა, —საუზეს მირითმეს.



2) 11-12 საათამდე—საპირტებერშია.



3) 12-2 საათამდე—აპნოშია.



4) 2-3 საათამდე—ბკითხიი მალაის „აუთლეიტის“



5) 3-4 საათამდე—მოფხეს ატელეშა.



6) 4-5 1/2 საათამდე—თავისი კანტინისა და წახანტელულა ტრაფიბა.



1. თბილისის ქალაქის რე. გზის და ტროლეიბუსების ტრეკების სამმართველოს მუშაკმა აბე. მ-მა მტკვარში თევზების დროს თქვის თევზი დაჭირა. —გამაშვი და რაისი მტკვეი ფისრულუბი—შეუფიღრა თევზი. მუხაღურმა თევზი გუშა.



2. — ზომ იცოდო რომ ვაქის ზაისი ჭეაქედლებს პრეტეს იოხოდენე ეერ შეეპეეე თევზს რომ მიეცა? წელი და აბლა მანტე შეუფიღრა. —უბრა მ-ს ექმა




3. წელია მუხაღური და თქვის თევზს ვაისიხოეა ხანუცარი პრეტე. —წელი და დეგებუბა—უბრა თქვის თევზს და მტკვარის ტალღებს შეინაეიღა.



4. — რას გვიშეულის მარტო პრეტეტი? ხაის გუფანის ლანდგი უღა, კის მასლა, ცემენტი, წელი და გამხობიოე.



5. — წელი და დეგებუბა! — უბრა კელე თქვის თევზს—მუხაღურს.



6. — რას გვიშეულის მარტო ლანდგი. ლანდგეს ტრა უღა, საბერი ქელეც ვეპრეფა, სასერი ქელეს გამა უღა, ლანდგე დეგბა, ეს აუცელე ზეშეღის ირეპობებს დეგებუბებს რეულაფიხობის შეეპეეე თქვის თევზს რომ ვაისს საბერი ქელე და დეგბის მუხაღურს.




7. მუხაღურმა თქვის თევზს კელეც აბლა იოფიხი მირიო. მარკან არე კო დეფიორებინა მას უკანატელი წინადეგბა, რომ თქვის თევზი უკან გაბრუნდა და მტკვარის ტალღებს მიიხადა.



8. ამის შეშეღე იცდის დაღმეტელი მუხაღური მ-ს მტკვარის პირე და ექიი — თავისი კანტინისა. მიუფიღნად ეღას პირეღელი მაუაპი თევზის უკან მიბრუნება, ხოლო მუორე—თევზის მიერ საბერი ქელეს გეჩნის და ვაქის ზაისი და-თავებებს.



კურორტ მენჯში ყალბი დოკუმენტებით გაიფლანგა ფული და საქონელი 5515 მანეთის რაოდენობით. საქ. სსრ სახ. კონტროლის-საზღვაო-საზღვაო მასალებიდან.



— ამ კურორტის შენებას ხუთ წელიწადს ვაგრძელებთ და ხუთი ათასი მანეთის გაფლანგვის მეტი ვერ მოვახსარიტ...

### „ჯანსაღი ისარი“ და სნაული გრანატი

— აჰ მოსწრია აი კაცს?!—სამტრედიის აი წიწილი შეიდი თუ მანი?— წამოიძახა მოქალაქემ და მე შემომხედა.

— ალბათ სიცოცხლეში თონარკი იქნებოდა — მიუხედავად.

ამ სიტყვებმა მოქალაქე გააცინა. ეტყობოდა ჩემსაგვით „სხვათაშორის“ ათვალეფრებდა სამტრედიის სადგურის ბუფეტს, მარტო მგზავრობდა და დამლაპარაკებელი რომ ნახა, გაეხარდა.

— ერთი დიდი შეღავათია — განვაგრძე მე — აი დავათვალეფრებ და სრული უფლება გვაქვს არ მოვიტხოვოთ.

— მაგი ქა მართალი, — მხიარულად მომიგო მოქალაქემ და თავის მხრივ დაუმატა: ისე-აქანე რაცხა თუ არ მოითხოვე, ოფიციალტი არ დაგაყენებს.

ამ სიტყვებზე ძველი მეგობრებით მიუხედავად ერთ მაგიდას და ჩვენთან თითქმის ცეკვა-თამაშით მოვიდა სუფთად ჩაცმული ოფიციალტი.

— ერთი ცივი ლიმონათი! — მივეცი დაკვეთა.

— ბატონო, ერთად ბრძანეთ ყველაფერი, მეც დროზე უნდა მივეცე ზაკაზი ბუფეტისკ, კუნხას.

— სხვა არაფერი — მოკლედ მოგუბერ მე.

მხიარული მოსული ოფიციალტი წელმოწყვეტილი გამობრუნდა.

მეზობელ მაგიდიდან გარკვევით გვესმოდა მეორე ოფიციალტის მუსაიფი მოსადილესთან, ეტყობოდა ძველი ნაცნობები იყვნენ.

— შენ ზომ ტყულს არ გეტყვი, ორი თვის უკან დღეში ორას მანეთიანი ვიყავი, ახლა ასმანეთიანიც არ ვარ! დევიჯერებ? დაჯდება კაცი, შეხედავ პატიოსანი, ჩაცმული, დახურული და მიეითხოვს ლიმონათს.

— მაგას სწორედ უნობს, თავის კანტურით განმარტავს ჩემი ახალი ნაცნობი, — პორციას დააკლებს, ფასს მოუმატებს, ჩოთქში გეხათ გაცრავს, ხურდას არ დაგიბრუნებს და მუშტარი თუ ბევრი იქნა, ქე გამოვა დღეში ორასი მანათი.

— მარტო ლიმონათის საქმე არ არის — ისმოდა მუსაიფის გაგრძელება მეორე სუფრიდან, — მგონი ახალი დადგენილების თანახმად კანტროლიც გაძლიერდა.

— ხო, მაგიც არის — სთქვა ოფიციალტი და დაუმატა, — ქე დენანავ შენი მარგალიტი თვალებით, პერონზე რომ გაბრძანდებით ხაბეიშვილი რომ ჩააგდეს ჩვენ „ჯანსაღ ისარში“ — აფერი აღარ იმალება.

ერთი ბოთლი ლიმონათის საფასურის გადახდა ჩემმა ახლად გაცნობილმა მოინდომა და სანამ ჩვენ შევთანხმდებოდით, მოვასწარი ოფიციალტის სახეზე წამეკითხა:

— რა ვაქცაები ხართ მანეთის გადახდაზე? თქვენისთანა მუშტრები ნუ გამოუღიოს ღმერთმა ჩემს მტერს.

მე შევედი ოფიციალტის მდგომარეობაში და ისევ მალე გამოვედი რადგან ბუფეტიდან ბაქანზე გასვლას ვჩქარობდი, — გახეთის დასათვალეფრებლად.

გაიეთი გარეგნულად მართლა ჯანსაღად გამოიყურება.

„ჯანსაღი ისარი“, აწერია კონტა სათაური, რის შემდეგ მისდევს: „სადგურ სამტრედიის პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების ყოველდღიური ორგანო ტირაჟი 200 ცალი.“

სხვადასხვა დღეს სხვადასხვა რედაქტორია. აი მაგალითად 21 მარტს № 65-ის რედაქტორია შ. ნუტუბიძე.

წერილები, რა თქმა უნდა, მეთაურით იწყება, ბოლო მეთაურის სათაურია:

„ალბთული ვალდებულება სრულდება“ მე-18-ტე პარტკონფერენციის გადაწყვეტილების შესახებ მოხსენებით გამოვიდა სამტრედიის სახელმწიფო ბანკის დირექტორმა აშხ. ხაბეიშვილმა. მოხსენების შემდეგ, კამათში გამოვიდა მთელი რიგი ამხანაგებმა. და სხვა. შემდეგი წერილი:

### „იმიდი გაუტყურდა“

17/III 41 წ. მორიგეობის დროს 14 საათზე მატარებელმა მოკლა 1,5 ფუთიანი ღორი, რომელიც ზურგში წამოიკიდა სერაპიონ ხაბეიშვილმა და გასაქაფავად სახისო ქოხში შეიტანა. მას დახმარება აღმოუჩინა მისივე ახობაქემ და შეხმატკილებულად მოახერხეს მისი დამალვა.

მაგრამ მილიციამ მიაგნო კვალს და დაკარგული ღორი აღმოაჩინა. გასაკვირია სერაპიონ ხაბეიშვილს ქონდა თუ არა უფლება სამუშაოს საათებში ასეთის ჩადენის.

### „ახობაქემ“

ჩავიწერე და დავიწყე ფიქრი. „ვეფხისტყაოსანს“ სამღვდლოება სდევნიდა და მაინც მოაღწია ჩვენამდე. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ გახეთის აღნიშნული წერილიც არ უნდა დაეკარგოს შთამომავლობას, მით უმეტეს რომ მღვდლები ნაკლებია ახლა.

ვთქვათ, რომ 2041 წელში ე. ი. ერთი საუკუნის შემდეგ, გამოდის მკვლევარი და ვრცელი მოხსენების შემდეგ აკეთებს დასკვნას:

„მაშ ასე, — აცხადებს იგი, — „ჯანსაღი ისარის“ აღნიშნული წერილების გაშიფრვის შემდეგ ჯერჯერობით იმის თქმა შეგვიძლიან, რომ:

1/ აღნიშნულ საუკუნეში აღნიშნულ სადგურის აღნიშნულ კალმონებს ჯერ კიდევ თავისი საკუთარი ენა ჰქონიათ.

2/ მაგალითად. მაშინ აკადემიკოსები ა. შანიძე, გ. ახვლედიანი, ა. ჩიქობავა და ქართული ენის სხვა მცოდნეები დასწრედენ ასე:

— „მოხსენებით გამოვიდა დირექტორი ხაბეიშვილი“ კამათში გამოვიდა მრავალი ამხანაგი“.

სამტრედიის ენათმეცნიერები კი სწერდნენ „მოხსენებით გამოვიდა დირექტორმა ხაბეიშვილმა“, „კამათში გამოვიდა მთელი რიგი ამხანაგებმა“, ამ ორი მიმდინარეობის, თუ სკოლის შეთანხმება ვერ მოხერხდა და თავთავიანთი სტილით განაგრძობდნენ წერას.

3/ თუ 17/III — ს 41 წ. მატარებელმა, მორიგეობის დროს მოკლა ღორი: უნდა ვიგულისხმოთ, რომ თუ ღორი მორიგეობას ეწეოდა — ალბად ის ღორების ფერმაში უნდა ყოფილიყო მორიგედ, მაშასადამე ყოფილა ისეთი მატარებელიც, რომელიც ღორების ფერმებშიც თავისუფლად შედიოდა.

აქედან ცხადია, მაშინაც ყოფილა ულიანდაგო და უორთქლმავლო მატარებლები, რომლებსაც არა მარტო შინაურ ღორებს ახოცინებდნენ, არამედ, უნდა ვიფიქროთ, რომ შესაძლოა გარეულ ღორებზე ნადირობის საქმეშიც იყენებდნენ.

4/ დასასრულ ავტორი სწერს:

„გასაკვირია სერაპიონ ხაბეიშვილს ჰქონდა თუ არა უფლება სამუშაო საათებში ასეთის ჩადენისო“.


ეს იმას ნიშნავს, რომ იმ ხანაში. ე. ი. ასი წლის წინად, სამუშაო საათებში ქურდობა აკრძალული ყოფილა, სხვა საათებში ე. ი. არასამუშაო საათებში კი ამის უფლება ჰქონიათ.

გფიქრობ ასეთ დასკვნებს გამოიტანს მკვლევარი 2041 წელში. ამიტომ ჩემს სამეცნიერო მოვალეობად მიმაჩნია გაავრთხილო პატივცემული შთამომავალი, რომ მისი დებულება მცდარია, იგი შეცდომაში შეჰყავთ მხოლოდ „ჯანსაღი ისარის“ გრამატიკოსებს.

## მჭედის — დანა

თიანეთის პოლიკლინიკას კბილის ექიმი არ ჰყავს. ავადმყოფები დალაქს უფარდებიან ხელში.

ვ. ხევსური




— ნაღბანდო ცოტა ხნით გაზი გვათხოვე.  
 — რათ გინდა?  
 — დალაქ წოწოლას სჭირდება, ჩვენი პოლიკლინიკის დირექტორს კბილი უნდა ამოუღოს.

## მომხარბებელი დრო

ლანჩუთის კინოთეატრში სურათების ჩვენებას ისე გვიან იწყებენ, რომ მეორე სეანსზე აღარავინ ესწრება.

აღა



მეძანიკოსი — ამნ. აპოლონ, დარბაზი ცარიელია, დავიწყოთ?  
 დირექტორი — დაიწყე, უკეთესია, უფრო სიწყნარე იქნება.

## ვისას ხალი თაფლი აქვს

ჩხორიწყუს საბაზრო კომიტეტი ჯარიმის მუქარით ყველას უკრძალავს ბაზრის სკამებზე ჩამოჯდომას. ამ წესს თვით საბაზრო კომიტეტი არღვევს.

ცქვიბი




— იმ კაცს ზედ სძინავს, ხმას არ სცემთ, მე კი დაჯდომისთვის მაჯარიმებთ?  
 — იმას რას უყურებ, ის საბაზრო კომიტეტის თავმჯდომარეა.

## დოგმატიკოსი ან გავრონოთ

„ზემო-ნატანების ფეხსაცმლების შემკეთებელ სახელოსნოში დაუშვებლად არღვევენ ფასებს.“

გერჯუკოვსკი

განმარტოვანი




მომხარბებელი — 25 მანეთი ქუსლის მიკერება? აკი პრესკურანტი ნაკლები სწერია.

ხელოსანი ლომიძე — პრესკურანტი დოგმა როდია ჩვენთვის?

## მენიუში ან სწავრა

„სადგ. ტყიბულის ბუფეტში ანტისანიტარიაა.“  
 ბარ-ლი



— რას მოითხოვთ პირველ ყოვლისა?  
 — პირველ ყოვლისა მოვითხოვ ცოცხს, შემდეგ იატაკის მოსაწმენდ ტილოს, შემდეგ დანარჩენზე ვილაპარაკოთ.  
 — როგორ? განა ჩვენს მენიუში ასეთი რამ სწერია?



სამკერვალო ფაბრიკის დირექტორი: — ჩემი მომხმარებლები რომ ამათ ბაძავდნენ ჩაცმულობით, ავუნდებოდი კაცი. არავინ აღარ მეტყოდა საყვედურს სტანდარტისა და წუნის გამოშვებისათვის.



საქანა სარგუა ქუთაისში

(ლამის პირველი საათია, მგზავრები ტყიბულის მატარებლის გასვლას ელიან. დარბაზში შემოდის სადგურის მორიგე დიდბერიძე)

დიდბერიძე—ხალხო და ჯამაათნო, მატარებელი ტყიბულისაკენ გავა 15 წუთის შემდეგ. დაიკავეთ ადგილები ვაგონებში (ხალხი სხდება ვაგონებში. დიდბერიძე მიდის სადგურში დარჩენილ ერთი მოხუცთან).

დიდბერიძე—შენ რა გვარი ხარ ბერიკაცო? მოხუცი მგზ.—მე გახლავარ ბატონო ჩემო, ვანო ჯაში.

დიდბერიძე—მერე და შე კაი კაცო, შენი თავი ხომ არ გგონია ბანაჯაში? აქ სადგური ქუთაისი გახლავს და არა სასტუმრო, მეორე ღამეა აქ რომ ათევე ზედიზედ.

მოხუცი მგზ.—კარგი, კარგი, ნუ შეაწუხებ გული, გავაკეთებ ჩემს საქმეს და წავალ აქედან სამ-ოთხ დღეში. ამალამ კი მაინც შენი სტუმარი ვარ.

დიდბერიძე—არხეინად წახვალ!

მოხუცი მგზ.—მაშ ჯინაზეა საქმე? აბა მე ვიტყვი: არ წავალ და ხახვსაც ვერ ჩამაჭრი!

დიდბერიძე—დაგაგლიჯავ მაგ თხა წვერებს ღერადერა და მაშინ მოჭქუსლავ.

მოხუცი მგზ.—ერთ ბეწვსაც ვერ ჩამომაცილი, ვაი არა მაქვს!

დიდბერიძე—აი თუ ვერ ჩამოგაცილი, აბა ნახე როგორ გაჩინდრიკო სოლომონ მორბელაძის ჯორივით. (ჩამოკრავს ხელს და ერთ მუჭა წვერს ჩამოაგლეჯს).

მოხუცი მგზ.—(გარბის ყვირილით) ვაი! ვაი!

დიდბერიძე—(მისძახის უკან) ნუ ღრიალებ სახედარივით ბებერო, თორემ პასუხისგებაში მიგცემენ, რა გაყვირებს ქვეყანა ყურობდა ხელი არ შემომიკრავს და ფეხი.

(დიდბერიძე მიდის დარბაზის კუთხეში ერთ-ერთ მგზავრთან, რომელიც თხილს შეეჭკევა).

დიდბერიძე—ახალგაზრდავ, თქვენი სახელი და გვარი?

მგზავრი—შალიკო ფულაძე!

დიდბერიძე—რა მოხელე ნაჩაღნიკი ბრძანდებით?

მგზავრი—სტუდენტი ვახლავართ.

დიდბერიძე—აბა ჩემო ფულაძე, ფულს გადაიხდით 30 მან.

მგზავრი—რატომ და რისთვის?

დიდბერიძე—იმიტომ, რომ ეს მოკრიალებული დარბაზი დაანაგვიანე, იმისათვის რომ, სადგურის შინა განაწესი დაარღვიე.

მგზავრი—სად ხედავ მოკრიალებულ იატაკს, კოჭებამდე ვართ ნაგავში.

დიდბერიძე—აი მეც მაგას გეუბნები: მოკრიალებული ვახლდა ერთი თვის წინათ, მაგრამ შენისთანებმა სალორეს დაამსგავსეს. ამიტომაც უნდა დაგაჯარიმო.

მგზავრი—(დიდი კამათის შემდეგ იღებს ფულს) აბა ჰა გამოწერე ქვითარი, ვინდი, ფულს, მაგრამ იცოდე, რომ არაკანონიერად მაჯარიმებ.

დიდბერიძე—(ალერსიანად) აი ხომ ხედავ ჩხუბსა და დავიდარობას ასე ტკბილად არ სჯობია საქმის მოგვარება? რატომ უნდა ავიშალოთ ტყუილბრალოდ ნერვები! (სწერს ჯარიმის ფურცელს და აძლევს დაჯარიმებულს).

მგზავრი—(კითხულობს ქვითარს) ვაიმე! ვაიმე! მე 30 მან. მივეცი, მას კი 3 მან. ჩაუწერია ქვითარში, გამიზვიეთ შავ დღეს დავაყრი მაგ ხალტურისტს? (მგზავრის ყვირილით შეშინებული დიდბერიძე შეუშინებულად იპარება, კომედია მთავრდება).

ვალ. მუხურელი

ახალი შენობა

(თიანეთისათვის)

აქ ჯანგანყოფილებისთვის კარგი შენობა აიგო, მაგრამ შიგ სხეები შესახლდნენ რატომ?—ვერავინ გაიგო.

„საერთო საცხოვრებელი“—წარწერა შეენის მის კარებს. ჯანგანი შორით უცქერის, ახლოსაც არვინ აკარებს.

ფ. თიანეთელი

უიღუ

(ფოთის ნავთბადურისათვის)

ჟურნალ-გაზეთთა კიოსკში ზის ფილუ, სახელქებული, ჰხამს მისი საქმე საგმირო აქ იყოს განქიქებული.

უშვერ სიტყვათა ღვარი სდის თავიდან ფეხის ფრჩხილამდე, სხვას აღარაფერს აკეთებს,—ყბედობს დილიდან—დილამდე.

„სოიუზბეჩატმა“ ჩვენ ვფიქრობთ, სჯობს ფოთი მონინხლოს, ან ფილუ გამოასწოროს, ან ის კიოსკი დახუროს.

არქო

რისთვის, რათა?

(ტყიბულის რაიონის რედაქციისთვის)

ექვსი წლის წინ აქ ზადნო-ჰქონდა ამ ჩვენს სოფელ გურნას, და ვისმენდით ტკბილ სიმღერებს, ჩონგურს, ფანდურს, დაფაზურნას.

ეხლა გურნა წინ წავიდა საქმე უკეთ წარიმართა და ვკითხულობთ ჩვენ რადიო აღარა გვაქვს რისთვის? რათა

ბ. გ-ლი

ავტოები გაგვაუკავან

ავტოტრანსი ღირსი არის საყვედურის დიდის, რადგან ორთაქალისაკენ ავტო აღარ მიდის.

ნეტავ რატომ იგიწყებენ იქ მცხოვრებთ და მგზავრებს, ეს გვაოცებს, ეს გვაკვირებს გვალონებს, გვაჯავრებს.

—„ავტოები გაგებუტენ“—გაიძახის ყველა, ნიანგოჯან, ამ საქმეში გვინდა შენი შეველა.

მ. საშველი

აგბოლაუკის სასჯამკოში

ამბროლაურის სასტუმროში უსუფთაობაა, თეთრეული და საბნებიც ცოტა აქვთ.

ნახ. ა. კანდელაკისა

ცინცხალიშვილი



ს. კანდელაკი


სტუმარი — თქვენს სასტუმროში მინდა გავათხო, ადგილი ხომ გექნებათ?

სასტუმროს გამგე — ადგილი კი არის, მაგრამ ზეწარი და საბანი არ გვაქვს.

სტუმარი — შე კაი კაცო, ქვეშაგები რომ მქონდეს თან, მაშინ რაღა შენს ბაღლი-ნჯოებიან სასტუმროში გავათევდი, —გარეთ წამოგწვებოდი სუფთა-ჰაერზე.



— თქვენ გაქვთ სრულიად ჩვეულებრივი წენი...



— მერე პარტკომმა იცის, რომ ეს დეტალი შეტედ ძვირად ღირს?  
— არა, პარტკომი ჯერ კიდევ არ ჩასწვდომია დეტალებს.




— ერთის წამით ჰფარავთ მას ცნობის-მოყვარე თვალისაგან.

### საქმე და „საქმე“

ნახ. გ. ვალკისა



— ერთი, ორი, სამი, თქვენ უკვე გაქვთ საქონელი.



— ბოლოს და ბოლოს დროა სიტყვიდან საქმეზე გადასვლისა: დაუყოვნებლივ ჩააკერეთ „საქმეში“ აქტივის სტენოგრამა.

ქუჩის მოსახვევთან ორი კაცი დგას. ერთ მათგანს მარცხენა ყბაზე მიდებული აქვს ოთხად გაკეცილი ცხვირსახოცი.

— რა მოგივიდა კაცო?

— ნულარ მკითხავ, მკლავს კბილის ტკივილი.

ამ დროს გამოჩნდება ქუჩაში იმათკენ მიმავალი ახალგაზრდა ქალი.

კბილტკივანი კაცი ხელად იშორებს ყბიდან ცხვირსახოციან ხელს და ნაძალადევი მხიარული სახით ესალმება ქალს.

როცა ქალი შორდება, კბილტკივანი ისევე ჩქარა მიიღებს ცხვირსახოცს ყბაზე. მოსაუბრე სიცილით ეუბნება მას:

— რა, გაუსწორებელი, ქალების მოყვარე ხარ! ეხლა ის ლამაზი ქალი რომ დაინახე, მაშინვე დაგავიწყდა კბილის ტკივილი, ხელად მოიშორე ცხვირსახოცი ყბიდან და გამხიარულდი.

— არა, ძმაო, შენ კარგად ვერ მიხვდი რაში იყო საქმე, თუმცა ერთი კი მართლია, რომ იმ ქალის დანახვაზე კბილის ტკივილი მართლაც დამავიწყდა.

— ?

— საქმე იმაშია, რომ ის ახალგაზრდა ქალი კბილის ექიმი, ჩემი კარგი მეგობრის ცოლი, რომ გავგო კბილი მტკიოდა, ჩამაცივდებოდა წამოდი ამოგიღებო და მე კი ჩემს ბებერ კბილს ახალგაზრდა და ნაზ ქალს ვერ ვანდობ. მით უფრო, რომ მისი ნაზი ხელი უკვე გამოვცადე და მაშინაც თავზედი ვიწყებლე. ცუდი კბილის ნაცვლად სალი კბილი ამომადრო.

860-გალი

# ქუჩა „ნიანგის“ რედაქცია

## აქსელეზს კონკურსს

საუკეთესო სატირულ-იუმორისტულ ნოველაზე და ფელეტონზე კონკურსის პირობები შემდეგია:

ნოველის ავტორებისათვის გათვალისწინებულია:

პირველი პრემია (ერთი) . . . . .	3000 მან.
მეორე პრემია (ერთი) . . . . .	1500 "
მესამე პრემია (ერთი) . . . . .	1000 "

ფელეტონების ავტორებისათვის გათვალისწინებულია:

1 პრემია . . . . .	1500 მან.
2 " . . . . .	1000 "
3 " . . . . .	500 "

გარდა ამისა, ის ნაწარმოები, რომელიც პრემირებული არ იქნება, მაგრამ მოწონებული იქნება ჟიურის მიერ, დაიბეჭდება ჟურნალში და ავტორი გადიდებულ ჰონორარს მიიღებს.

საკონკურსო მასალის მიღების უკანასკნელი ვადა — 15 სექტემბერი. შედეგები გამოცხადდება ოქტომბერში.

ავტორების მიერ საკონკურსო მასალები უნდა გამოიგზავნოს დახურულ კონვერტში — დევიზით. მეორე დახურულ კონვერტში, რომელსაც ზემოდან იგივე დევიზი უნდა დაეწეროს, მოთავსდება ავტორის ნამდვილი ვინაობა და მისამართი.

კონვერტი, რომელშიც ავტორის ვინაობა იქნება მოთავსებული, ჟიურის მიერ გაიხსნება მხოლოდ გადმოგზავნილი მასალის განხილვისა და მოწონების შემდეგ.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიან ყველას გარდა ჟურნალ „ნიანგის“ რედაქციის აპარატის მუშაკებისა.

### ჩვენნი ფოსტა

ესიაძეს (ბათუმი) თქვენი კარიკატურები მივიღეთ. არ გამოდგება. ლექსიც სუსტია.

მიყვარს დოში,  
მიყვარს ბორში  
და ყოველდღე ვარ კინოში,  
ნუ დამიშლი, გეთაყვანე,  
ასეთია ჩემი ხოში.  
შენი ლექსი ესიაძე,  
ინახება ჩვენს გოდორში.

ლიმონის წვენი (იქიდანვე) ასეთი ლექსის გამოგზავნას, ათასჯერ აჯობებდა ნამდვილი ლიმონის გამოგზავნა იმას ჩვენ გამოვიყენებდით თქვენი ლექსის გამოყენება კი ვერ შევსძელით.

დონ-კიხოტის მკითხველს (ქ. წულუკიძე), ჩვენი რჩევა იქნება ჩქარა დაასრულოთ დონ-კიხოტის კითხვა. გეტყობათ დიდ გავლენას ახდენს თქვენზე.

თქვენი „სანიანგო სიმღერა“ ასე იწყება:

დღით მძინავს და ღამეც მძინავს ჩერო,  
როდის უნდი გავიდვიძო, — ჩერო,  
მე აქაურ ქალიშვილებს, — ჩერო,  
სურვილი მაქვს რომ უმღერო ჩერო.

ჩვენი პასუხია.

დონკიხოტის წამკითხველო, ჩერო,  
კვლავ ლექსები აღარ დაგვიწერო.


უკბილოს (სამტრედია) მივიღეთ თქვენგან „მაქაური“ ერთერთი კბილის ექიმის კარიკატურა წარწერილი ლექსით:

რატომ გგონიათ ასეთი ლექსის წერა შეიძლება და უკბილო კაცს კი არ შეუძლია არსებობა?!

ორათ-ორი კბილი შემრჩა  
ათ ადგილას გამოჩრული,  
ამტკივდა და რა ამტკივდა,  
ძაგძაგებდა ჩემი გული.  
გავიქეცი ჩვენს ექიმთან,  
თურმე არის ის წყეული,  
ორიგ ერთად ამოიღო,  
ამოიღო თანაც სული.

ხათაბაღს (ქუთაისი) თქვენ რომ მართლა სტუმრად ხართ ქუთაისში თქვენს ლექსსაც ეტყობა, „ქუთაისის „რამე-რუმეს“ ვერ დაგბეჭდავთ. კონკრეტულ ფაქტებს არ ასახელებთ. ლექსიც არ ვარგა.


ეროვნული  
ბიბლიოთეკა




1) ჯონმა ტკბილი სიზმარი ნახა: ომი — მის მოსამსახურედ ქცეულიყო და მის სეიფებში ნიჩბით ჰყრიდა ოქროს.




2) მშვენიერ გუნებაზე გამოიღვიძა ჯონმა. ჩვეულებისამებრ ლოგინშივე მოითხოვა კაკაო და ახალი კორესპონდენციები.



3) ა, ჩინებულია, — აღტაცებით წამოიძახა ჯონმა, — ჩვენი სააქციო წარმოების დივიდენდი კვლავ გაზრდილა ორასი მილიონი დოლარით.



4) შემდეგ ჯონმა გაზეთებს დაუწყო თვალღებვა და... უცბათ გუნება წაუხდინა ერთი ცნობის ერთმა სათაურმა:



5) ყარ-რა-ულ-ლ! — აღშფოთებით წამოიძახა ჯონმა, — საბჭოთა კავშირ-იაპონიის ნეიტრალიტეტის პაქტი? გაა-უ-უ-ქმე-ეთ!



6) მაგრამ ჯონს აუხსნეს, რომ „ესე მისგან არ არის დამოკიდებული“ — და, რომ საბჭოთა კავშირმა ამ პაქტით გზა გადაუჭრა იმპერიალისტურ ომის ხანძარს და ჯონს ახალი თეთრეული მართავს დასველებულის ნაცვლად.